თიბისი ბანკი
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

# მეოთხე კვარტალი
# Fourth Quarter 2010

## თიბისი ბანკი 2010 წლის საუკეთესო ბანკად დასახელდა

2010 წლის 3 დეკემბერს, ლონდონში, ფაინენშალ თაიმს გრუპის (Financial Times Group) ყოველწლიური საბანკო რეიტინგის შედეგები გამოცხადდა. მსოფლიოს უმსხვილეს საფინანსო ინსტიტუტებს შორის, თიბისი ბანკი, წელს უკვე მეხუთედ, დასახელდა "**წლის საუკეთესო ბანკად**" საქართველოში.

ფაინენშალ თაიმს გრუპი და ჟურნალი "The Banker" 1926 წლიდან ახორციელებენ ექსკლუზიურ საბანკო რეიტინგებს და ამ სფეროში მსოფლიო მასშტაბით ყველაზე კომპეტენტურ ინსტიტუტს წარმოადგენენ. ორგანიზაცია თავად ირჩევს კონკურსში მონაწილე ყველა ბანკს, ითვალისწინებს რა, მათ ძირითად ფინანსურ მაჩვენებლებს და მიღწევებს წლის განმავლობაში.

ქართული ბანკების კონკურსზე განხილვა პირველად 2002 წელს მოხდა და მსოფლიოს "წლის საუკეთესო ბანკებს" შორის პირველი ქართული ბანკი, თიბისი ბანკი დასახელდა.


The Banker Awards 2010

TBC BANK

GEORGIA

## TBC BANK WAS NAMED THE BEST BANK OF THE YEAR 2010




On December 3, 2010 annual bank rankings were announced by Financial Times Group in London. For the fifth time TBC Bank was among the biggest financial institutions of the world and it was named as the Best Bank in Georgia.

Financial Times Group and The Banker magazine do the exclusive bank rankings from 1926 and represent the most competent institutes. The organization handpicks each bank that participates in the competition; selection is done according to the main financial indicators and achievements of the banks.




In 2002 Georgian banks were first considered for the nomination Best Bank of the Year and TBC Bank was given this title.

# ქუთაისში თიბისი ბიზნეს ცენტრის მშენებლობა დასრულდა



29 დეკემბერს, ქ. ქუთაისში, თიბისი ბიზნეს ცენტრის შენობა გაიხსნა. საზეიმო ცერემონიას ესწრებოდნენ: საქართველოს პრეზიდენტი, თიბისი ბანკის მენეჯმენტი და ხელისუფლების უმაღლესი პირები.

თიბისი ბიზნეს ცენტრის მშენებლობაში თიბისი ბანკის მიერ ჩადებულმა ინვესტიციამ 14 მილიონი ლარი შეადგინა. ეს არის ბანკის დაფინანსებით განხორციელებული, კიდევ ერთი მასშტაბური პროექტი, რომლითაც თიბისი ბანკმა ქუთაისელებს წინასაახალწლო საჩუქარი გაუკეთა.

თიბისი ბიზნეს ცენტრი ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე მდებარეობს და არაჩვეულებრივ არქიტექტურულ ნაგებობას წარმოადგენს. შენობის საერთო ფართია 11 000 კვ.მ. მომავალში აქ თიბისი ბანკის ახალი ფილიალი და ბიზნეს ცენტრი განთავსდება, რომელიც ათეულობით კომპანიას გაუწევს მომსახურებას.

ცერემონიაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა **“ბრწყინვალების ორდენი”** გადასცა თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს მამუკა ხაზარაძეს.

# THE CONSTRUCTION OF BUSINESS CENTRE IN KUTAISI IS COMPLETED

On December 29, TBC Business Centre was opened in Kutaisi. President of Georgia, management of TBC Bank and government officials attended the opening ceremony.

The investment made by TBC Bank for the construction of business centre constituted GEL 14 million. This is another large-scale project implemented by TBC Bank by which the bank made a New Year present to the residents of Kutaisi.

TBC Business Centre is situated on the central square of Kutaisi and represents a unique architectural building. The total space of the building is 11 000 square meters. In the future a new branch of TBC Bank and a business centre will be placed here. A business centre will serve tens of companies.

The President of Georgia Mikheil Saakashvili awarded the Order of Excellence to the chairman of supervisory board of TBC Bank, Mamuka Khazaradze.



## 1 მილიონი სმარტ ქულა და მოგზაურობა ოცნების ქალაქში –

### თიბისი ბანკის ვიზა ბარათების ფესტივალი

3 დეკემბერს თიბისი ბანკში ვიზა ფესტივალი დაიწყო და 31 იანვრამდე გაგრძელდება. მასში მონაწილეობას მიიღებს თიბისი ბანკის ნებისმიერი ვიზა ბარათის მფლობელი, რომელიც ამ პერიოდში ბარათით გააკეთებს მინიმუმ 5 ლარის შენაძენს საქართველოს სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში ან ინტერნეტში. ისინი კი, ვინც ტრანზაქციას თიბისი ბანკის ტერმინალებში გააკეთებენ გაორმაგებულ ბილეთებს მიიღებენ, ასევე გაუორმაგდებათ ბილეთები Smart Club-ის წევრებსაც.

ფესტივალის ფარგლებში ძვირფასი პრიზებით დაჯილდოვდება თიბისი ბანკის ვიზა ბარათების 100 მომხმარებელი. ორი მთავარი პრიზის გარდა, რომელიც 1 მილიონ სმარტ ქულას და ოცნების ქალაქში მოგზაურობას გულისხმობს, გამარჯვებულებს გადაეცემათ შემდეგი პრიზები: Macbook Pro, iPhone 4, iPAD, ლოპოტას ვაუჩერი, ასევე სასაჩუქრე ვაუჩერები მაღაზიებში: "ელიტ ელექტრონიქსი", "სვოჩი", "ვულე ვუ", "ადრესი" და "ბენეტონი".

ფესტივალის გახსნაზე ჰიპერმარკეტ გუდვილში თიბისი ბანკმა Shopping მარათონი მოაწყო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა ჟურნალისტებმა:

- ნანუკა ჟორჟოლიანი - ტელეკომპანია "იმედი"
- ეკა მიშველაძე - I არხი




## 1 MILLION SMART POINTS AND A TRIP TO THE DREAM CITY -

### Visa Festival in TBC Bank!




On December 3, Visa Festival took start in TBC Bank which will last till 31 of January. Every holder of TBC Bank's Visa card, who makes minimum GEL 5 purchases via card during this period, will participate in this competition. Those, who make their transactions in the terminals of TBC Bank will obtain the double amount of tickets, same applies to the members of Smart Club.

100 holders of Visa card will be awarded precious prizes in the framework of the festival. In addition to the two main prizes, 1 million smart points and a trip to the dream city, following prizes will be given to the participants: Macbook Pro, iPhone 4, iPAD, Lopota voucher and gift coupons for Elit Electronics, Swatch, Voulez Vous, Adress and Benetton.

At the opening of the festival TBC Bank held a shopping marathon in hypermarket Goodwill. Famous journalists took part in this marathon:

- Nanuka Zhorzholiani - Imedi TV
- Eka Mishveladze - I Channel
- Gvantsa Daraselia - Rustavi 2

## სესხების საახალწლო აქცია თიბისი ბანკში

2 დეკემბრიდან - 31 დეკემბრამდე ყველა მოქალაქეს, ვისაც ხელფასი ერიცხება საქართველოს ნებისმიერ ბანკში, თიბისი ბანკმა სესხებზე უპრეცედენტო პირობები და მაქსიმალურად დაბალი საპროცენტო განაკვეთები შესთავაზა:

- იპოთეკა - 11%
- სამომხმარებლო სესხი -15%
- ავტო სესხები - 15%

აქციის შედეგად უპრეცედენტოდ გაიზარდა საკრედიტო პორტფელი და ერთი თვის განმავლობაში მიღებულმა ნაზრდმა 64 მილიონი ლარი შეადგინა.

## თიბისი ბანკის 0%-იანი სწრაფი განვადების აქცია

5 დეკემბერს თიბისი ბანკმა ჰიპერმარკეტ გუდვილში 0%-იანი სწრაფი განვადების აქცია დაიწყო. აქცია 2011 წლის 15 იანვრამდე გაგრძელდა და ამ პერიოდში, ნებისმიერ მომხმარებელს საშუალება ჰქონდა ჰიპერმარკეტ გუდვილში შეეძინა საყოფაცხოვრებო ტექნიკა თიბისი ბანკის უპროცენტო განვადებით.

განვადების თანხის გადახდა ხდება ეტაპობრივად, ყოველთვიური გადასახადებით. სესხის დაფარვის შემდეგ კი, მომხმარებლის მიერ, ჯამურად გადახდილი თანხა, მხოლოდ შეძენილი ნივთის ღირებულების ტოლია.

## "კომპიუტერები ყველას" თიბისი ბანკის განვადებით

18 ოქტომბრიდან თიბისი ბანკი ჩაერთო პროექტში "კომპიუტერები ყველას". პროექტის ხელშეწყობის მიზნით, ბანკმა მინიმუმამდე შეამცირა წლიური საპროცენტო განაკვეთი და შეიმუშავა განვადების სპეციალური პირობები, რომლებიც მოსახლეობის ყველაზე ფართო ფენისთვის არის განკუთვნილი. კერძოდ, პროექტის ფარგლებში, ბანკი განვადებას გასცემს, როგორც სტაბილური სამუშაო ადგილის მქონე, ასევე, თვითდასაქმებულ მომხმარებელზე, რაც იმას ნიშნავს, რომ თიბისი ბანკის განვადებით, კომპიუტერები უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა.

## NEW YEAR CAMPAIGN ON LOANS IN TBC BANK

From December 2 to December 31 TBC Bank offered unprecedented interest rates on loans to each citizen holding a payroll account in any of the Georgian Banks:

- Mortgage - 11%
- Consumer Loan - 15%
- Auto Loan - 15%

As a result of the campaign the credit portfolio had an unprecedented growth. Monthly growth reached GEL 64 million.

## 0% FAST INSTALLMENT FROM TBC BANK

On December 5, TBC Bank started a 0% fast installment campaign in hypermarket Goodwill. Campaign lasted until January 15 and during this period consumers were able to purchase desired equipments via installments from TBC Bank.

Installment is paid gradually, through monthly payments. After covering the loan the total amount paid is equal to the price of the purchased equipment.

## "COMPUTERS FOR ALL" WITH TBC BANK INSTALLMENT LOAN

From October 18, TBC Bank got involved in the project "Computers for All". In order to support the project the bank reduced the annual interest rate to minimum and designed special terms for the installment making it available for the broad audience of consumers. More precisely, the bank disburses installment to both, individuals who have stable jobs and individuals who are self-employed. This means that with the help of TBC Bank's installment computers have become available to everybody.

## თიბისი ბანკი სოციალურ ქსელში

თიბისი ბანკის Smart Club-ი სოციალური მედიის ყველაზე მასშტაბური პროექტია საქართველოში. დღეისთვის, ფეისბუქზე Smart Club-ის გვერდის ფანების რაოდენობამ 60 000 გადააჭარბა და ეს რიცხვი ყოველდღიურად უპრეცედენტოდ იზრდება.

Smart Club-ის გვერდზე მუდმივად ტარდება კონკურსები, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართულები ფეისბუქის ფანები. გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოების პირველი ღონისძიება 21 ოქტომბერს, კინოთეატრ "ამირანში" გაიმართა.

ნოემბერში, Smart Club-ის გვერდზე ინოვაციური კონკურსი დაიწყო. თიბისი ბანკმა ბლოგერებს შესთავაზა კონკურსზე წარედგინათ თავიანთი საუკეთესო ნამუშევრები. ფეისბუქის ფან გვერდზე განთავსებული 118 პოსტიდან, გამარჯვებული პოსტის ავტორი გახდა ბექა ადამაშვილი, რომელსაც საჩუქრად iPAD გადაეცა.

თიბისი ბანკმა ბლოგერებს კიდევ ერთი საჩუქარი მოუმზადა და პირველად საქართველოში, ბლოგერების ნამუშევრები ერთიანი კრებულის სახით გამოსცა.





## SMART CLUB-ის საახალწლო ექსკლუზივი

თიბისი ბანკი Smart Club-ის აქტიურ წევრებს მუდმივად სთავაზობს საგანგებოდ მათთვის გამართულ ღონისძიებებს - ექსკლუზივებს. ექსკლუზივების ფარგლებში Smart Club-ის წევრებმა საჩუქრად მიიღეს ვიპ ბილეთები მსოფლიო კინოპრემიერებზე: “RESIDENT EVIL”, “13” და “HARRY POTTER”.

25 დეკემბერს, მორიგი ექსკლუზივის სახით, თიბისი ბანკმა Smart Club-ის წევრების შვილებს გრანდიოზული საახალწლო დღესასწაული მოუწყო.

## TBC BANK IN THE SOCIAL NETWORK




TBC Bank's Smart Club is the largest-scale social media project in Georgia. Currently the number of fans of Smart Club page on Facebook exceeds 60 000 and this number significantly increases every day.

On the page of Smart Club various competitions are held constantly. The fans of the page are actively involved in these competitions. First winners were revealed and awarded on 21of October, in cinema hall Amirani.

In November an innovative competition took start on the Smart Club page. TBC bank offered bloggers to present their best works. 118 posts were placed on Facebook's fan page and Beka Adamashvili became the winner, who was given an iPAD as a prize.

TBC Bank made one more present to bloggers and for the first time in Georgia it published the works of bloggers as a book.

## NEW YEAR EXCLUSIVE FROM SMART CLUB

TBC Bank constantly offers various events - exclusives to the members of Smart Club. As an exclusive, Smart Club members received VIP tickets to world premiers of RESIDENT EVIL, 13 and HARRY POTTER as a gift.

On December 25, TBC Bank organized an immense New Year event for the children of Smart Club members.

## თიბისი ფონდი დევნილი ახალგაზრდების პროფესიულ განათლებაზე ზრუნავს

დეკემბრიდან თიბისი ფონდმა კიდევ ერთი მასშტაბური სოციალური პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტის ფარგლებში, წეროვანში დასახლებულ დევნილ ახალგაზრდებს, ფონდი საშუალებას აძლევს შეისწავლონ მათ მიერ შერჩეული სპეციალობები და პრაქტიკული პროფესიული მომზადება გაიარონ საქართველოს წამყვან კომპანიებში.

ახალი სოციალური პროექტის ბიუჯეტი 62 730 ლარია და ეს თანხა მთლიანად მოხმარდება წეროვანში ჩასახლებული დევნილი ახალგაზრდების პროფესიულ განათლებას და მათთვის სტიპენდიების გაცემას.

ფონდის მიზანია დევნილი ბავშვების დასახმარებლად გრძელვადიანი სოციალური პროგრამების განხორციელება. ამ მიზნის მისაღწევად 2010 წელს დაიგეგმა და ეტაპობრივად ხორციელდება რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, რომლებიც უზრუნველყოფს წეროვანის დასახლებაში მცხოვრები ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

## TBC FUND TAKES CARE OF PROFESSIONAL EDUCATION OF IDPS.

Since December TBC Fund started another large-scale social project. Within the framework of the project the fund gives opportunity to young IDPs living in Tserovani to learn professions they desire to and to undergo a practical training in leading Georgian companies.

The budget of new social project is GEL 62 730 and this amount will be spent on the education of Tserovani IDPs and on their grants.

The goal of the fund is to implement long-term project supporting refugee children. In 2010, TBC Fund planned and gradually implemented projects, to establish and promote a healthy way of life among the refugee children living in Tserovani.





## 800 000 ლარი ქველმოქმედებაზე

2010 წელს თიბისი ბანკმა მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელა სოციალურ, კულტურულ და საზოგადოებრივ სფეროებში. საფუძველი ჩაუყარა რამდენიმე საინტერესო პროექტს და აქტიურად განაგრძო წინა წლებში დაწყებული პროგრამები.

თიბისი ბანკის მიერ გასულ წელს გაწეული საქველმოქმედო ხარჯების მონაცემები ასეთია:

## GEL 800 000 FOR CHARITY

In 2010 TBC Bank implemented significant projects in the social, cultural and public spheres, launching a number of long-term projects and actively continuing the implementation of projects begun in previous years.

General information about TBC Bank's charitable activities:



## ბალანსი 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(არააუდიტირებული)
გამოსახული ათას ლარებში

## BALANCE SHEET AS OF DECEMBER 31, 2010
(UNAUDITED)
Expressed in thousand GEL

| | | |
|---|---|---|
| **აქტივები** | | ASSETS |
| ნაღდი ფული და სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 175,766 | Cash and due from National Bank of Georgia |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 170,230 | Due from other banks |
| სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები | 241,032 | Government treasury bills |
| წმინდა საკრედიტო პორტფელი | 1,359,358 | Net loans portfolio |
| ინვესტიციები | 50,242 | Investment securities |
| ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 165,020 | Tangible fixed assets and intangible assets |
| სხვა აქტივები | 88,487 | Other assets |
| **სულ აქტივები** | ***2,250,135*** | TOTAL ASSETS |
| **ვალდებულებები** | | LIABILITIES |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 465,463 | Due to other banks |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 1,355,345 | Due to customers |
| სხვა ვალდებულებები | 73,145 | Other liabilities |
| **სულ ვალდებულებები** | **1,893,953** | TOTAL LIABILITIES |
| **კაპიტალი** | | SHAREHOLDER'S EQUITY |
| საწესდებო კაპიტალი | 15,113 | Share capital |
| აქციების ნომინალზედა ღირებულება | 201,723 | Share premium |
| გადაფასების რეზერვი | 30,405 | Revaluation reserves |
| გაუნაწილებელი მოგება | 108,941 | Retained earnings |
| **სულ კაპიტალი** | **356,182** | TOTAL SHAREHOLDER'S EQUITY |
| **სულ ვალდებულებები და კაპიტალი** | ***2,250,135*** | TOTAL LIABILITIES AND SHAREHOLDER'S EQUITY |

ანაბრები
TOTAL DEPOSITS

გამოსახული ათას ლარებში
Expressed in thousand GEL




თიბისი ბანკის წილი 11 უმსხვილეს ბანკს შორის
ფიზიკური პირების ანაბრების მიხედვით
SHARE IN INDIVIDUAL DEPOSITS AMONG 11 BANKS



## მოგება-ზარალის უწყისი 2010 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის (არააუდიტირებული)
## INCOME STATEMENT FOR THE PERIOD OF JANUARY 1 - DECEMBER 31, 2010 (UNAUDITED)

| გამოსახული ათას ლარებში | | Expressed in thousand GEL |
|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 239,926 | Interest income |
| საპროცენტო ხარჯი | 107,202 | Interest expense |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | ***132,724*** | Net interest income |
| აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | 39,495 | Provisions for asset losses |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი დარეზერვების შემდეგ** | ***93,229*** | Net interest income after provisions for loan losses |
| წმინდა საკომისიო შემოსავალი | *25,069* | Net fee and commission income |
| სხვა არასაპროცენტო შემოსავალი | *44,565* | Other non-interest income |
| არასაპროცენტო ხარჯები | *110,315* | Non-interest expense |
| **მოგება დაბეგვრამდე** | ***52,548*** | Profit before taxes |
| მოგების გადასახადი | 9,499 | Tax expense |
| **წმინდა მოგება** | ***43,049*** | Net profit |

### მთლიანი კაპიტალი და აქტივები
### TOTAL EQUITY AND TOTAL ASSETS
გამოსახული ათას ლარებში
Expressed in thousand GEL




### თიბისი ბანკის წილი 11 უმსხვილეს ბანკს შორის ფიზიკური პირების სესხების მიხედვით
### SHARE IN INDIVIDUAL LOANS AMONG 11 BANKS



## ელისო ბოლქვაძის ექსკლუზიური კონცერტი თიბისი ბანკში

28 დეკემბერს, თიბისი გალერეაში, ქართველი პიანისტის, ელისო ბოლქვაძის საფორტეპიანო კონცერტი გაიმართა. 13 წლიანი პაუზის შემდეგ, ცნობილმა პიანისტმა საქართველოში პირველი სოლო კონცერტი ექსკლუზიურად თიბისი ბანკის ვიპ მომსახურების კლიენტებისთვის შეასრულა და მსმენელის წინაშე 1 საათიანი პროგრამით წარდგა.

ღონისძიებაზე **ელისო ბოლქვაძემ** ახალი დისკი "სენტ სენსის მე-2 კონცერტი" წარადგინა, რომელიც ხმის ჩამწერმა სტუდიამ "კასკაველი" გამოუშვა და რომელმაც, საერთაშორისო მედიაში, კრიტიკოსების უდიდესი მოწონება დაიმსახურა.

## EXCLUSIVE CONCERT OF ELISO BOLKVADZE IN TBC BANK



On December 28, a piano concert of Georgian pianist, Eliso Bolkvadze was held in TBC Gallery. After 13-year pause famous pianist held her first solo concert exclusively for TBC Bank's VIP clients and gave one-hour performace.

During the event **Eliso Bolkvadze** presented her new CD "2nd concerto of Saint Sense". The CD was recorded by a label Cascaveli and it gained a huge recognition among critics in international media.







## თიბისი ბანკმა "ჯეოსტარის" კონკურსანტები დააჯილდოვა

31 დეკემბერს, 2010 წლის "ჯეოსტარის" ფინალი გაიმართა. თიბისი ბანკმა, რომელიც უკვე ტრადიციულად კონკურსის წარმომადგენი გახლდათ, წელს "ჯეოსტარის" ორი კონკურსანტი დააჯილდოვა.

მეორე ადგილზე გასულმა კონკურსანტმა სოფო გელოვანმა ბანკისგან საჩუქრად 1 000 000 Smart ქულა მიიღო, ხოლო ფეისბუქის Smart Club-ის გვერდზე გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულ ზურა მოსიავას, რომში მოგზაურობის ორკაციანი საგზური გადაეცა.

## TBC BANK AWARDED THE PARTICIPANTS OF GEOSTAR



On December 31, a finale of Geostar 2010 was held. TBC Bank which traditionally presents the competition, awarded two participants of Geostar.

Winner of the second place, Sopo Gelovani was awarded 1 000 000 Smart points and the winner of the competition held on Smart Club's fan page, Zura Mosiava was awarded a trip to Rome.

## თიბისი გალერეამ უმასპინძლა:

ფოტოხელოვან **ლევან გორგიჯანიძის** პერსონალური გამოფენა "ფოტო პალიტრა".

**თამუნა ჩიქოვანის** პერსონალური გამოფენა "ჩემი სახელოსნო 2010".

## TBC GALLERY HOSTED:

Personal Exhibition of photographer **Levan Gorgijanidze** "Photo Palette".

Personal Exhibition of **Tamuna Chikovani** "My Studio 2010".







სახალხო არტისტის, **თემურ ქევხიშვილის** სანოტო ალბომის "ხმა გულისა" პრეზენტაცია.

**გურამ დოჩანაშვილის** ავტობიოგრაფიული წიგნის "რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება" პრეზენტაცია.






**პაატა ნაცვლიშვილის** წიგნის "ნამდვილი ქაღალდის წერო" პრეზენტაცია.

**ხათუნა შავგულიძის** პოეტური კრებულის პრეზენტაცია.

**შალვა მატუაშვილის** პერსონალური გამოფენა.

Presentation of note album "Voice of heart" by artist **Temur Kevkhishvili**.

Presentation of autobiographical book "Things I remember most".

Presentation of a book "A real paper crane" by **Paata Natsvlishvili**.

Presentation of collection of poems by **Khatuna Shavgulidze**.

Personal Exhibition of **Shalva Matuashvili**.





თიბისი ბანკი
TBC BANK

თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 7
7 Marjanishvili St., Tbilisi, Georgia
E-mail: info@tbcbank.com.ge
www.tbcbank.ge